

განმარტებითი ბარათი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია საქართველოს მთავრობის, როგორც მმართველობის კოლეგიური ორგანოს გათავისულება იმ უფლებამოსილებებისაგან, რომლებიც შეიძლება გახდეს შესაბამის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი სამინისტროს კომპეტენცია. აღნიშნული ერთის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ეფექტურ განხორციელებას და მეორეს მხრივ გააძლიერებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს როლს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მისთვის მიკუთვნებულ სფეროში.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება მიზნად ისახავს საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობისათვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის ეფექტური პირობების შექმნას და საქართველოს ეროვნული ბანკის როლის ამაღლებას კანონმდებლობით მისთვის მიკუთვნებულ მმართველობის სფეროში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად იცვლება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 53-ე პუნქტი, სადაც საქართველოს მთავრობა: განსაზღვრავს განვითარებული ქვეყნების ნუსხას. აღნიშნული უფლებამოსილებები პროექტის თანახმად გადაეცემა საქართველოს ეროვნულ ბანკს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

‘දොරකරුගේ ගෞරවයට අනුරූපව පවතින අයුරු’

: ‘සමාජයේ අයුරු’ (ක)

‘සමාජයේ අයුරු’ අනුරූපව පවතින අයුරු’

: ‘සමාජයේ අයුරු’ (ක)

‘දේශයේ අයුරු’

පුද්ගලයන්ගේ

අයුරු’ අනුරූපව පවතින අයුරු’ ‘දේශයේ අයුරු’

‘සමාජයේ අයුරු’ අනුරූපව පවතින අයුරු’

‘දේශයේ අයුරු’ අනුරූපව පවතින අයුරු’

: ‘දේශයේ අයුරු’

‘දේශයේ අයුරු’

‘දේශයේ අයුරු’

‘දේශයේ අයුරු’

‘දේශයේ අයුරු’